



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1661
10/09/2018

ქალაქი ბათუმი

1661-05-4-201809101433



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში პირველი ხარისხის ხის მოპოვებისათვის მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ

აღსანიშნავია, რომ სოციალური ჭრა ხორციელდება არაკომერციული მიზნით, ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფა. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი პირველი ხარისხის რესურსის დასაბუთებულობას შეისწავლის თვითმმართველი ერთეულის მიერ შექმნილი კომისია. აღნიშნული საკითხის განხორციელების მიზნით დასაშვებად იქნა მიჩნეული შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის მოთხოვნის შესაბამისობას ფაქტობრივ მდგომარეობასთან და უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის მომზადებას.

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის რეზო ვარშანიძის 2018 წლის 04 სექტემბრის №2549-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **გბრძანებ:**

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში პირველი ხარისხის ხის მოპოვებისათვის მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლის მიზნით კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზვიად ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) რეზო ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) იოსებ აბულაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;
- დ) თამაზ ხაბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- ე) გულნაზი ღლონტი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის

2. კომისიამ მოსახლეობის მოთხოვნისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისობის დადგენისას იხელმძღვანელოს „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის №242 დადგენილებით და უზრუნველყოს შესაბამისი დასკვნის მომზადება.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

